დამტკიცებულია

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია – ჯიჯის პედსაბჭოს

5 სექტემბრის N 04/51 ბრძანებით

დანართი N7

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია – ჯიჯი

შპს ალექსანდრე ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის დირექტორი:

ბ.ს

ნინო ჭიჭინაძე

2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს
2. აღნიშნული მექანიზმი ვრცელდება გიმნაზიის ყველა მოსწავლეზე სასწავლო და სამუშაო პროცესში

მუხლი 2. მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმის აღმწერები:

1. მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა
2. მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს გიმნაზიის მოსწავლეთა თვითმმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში
3. მოსწავლეთა თვითმმართველობა ან/და კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს გიმნაზიის დირექციას
4. გიმნაზიის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივების მხარდასაჭერად შესაძლებელია შეიქმნას:
   4.1. მოსწავლეთა ინიციატივების განხილვისა და განხორციელების მხარდამჭერი ჯგუფი
   4.2. მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესისა და შედეგების მონტორინგის ჯგუფი
5. მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად გიმნაზიას შეუძლია ფინანსური რესურსის მობილიზება
6. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით გიმნაზია უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას
7. მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-განხორციელებისას დაუშვებელია რომელიმე მოსწავლის დისკრიმინაცია ან ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მოსწავლის უფლება-ვალდებულებების შეზღუდვას.
8. კანონმდებლობით დადგენილი წესით გიმნაზია უფლებამოსილია შეიძინოს და განკარგოს ნებისმიერი რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას
9. ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ღიად ისაუბროს საკუთარი ინიციატივის შესახებ და აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე განსახილველად წარადგინოს საკუთარი სამომავლო ხედვა.
10. ნებისმიერი მოსწავლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივის მხარდაჭერისა და განხორციელების მიზნით ითანამშრომლოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრთან

მუხლი 3. პასუხისმგებლობა

1. წინამდებარე მექანიზმის სრულად დაცვის მიზნით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ:
   1.1. მოსწავლეებს
   1.2. მოსწავლეთა თვითმმართველობას
   1.3. გიმნაზიის დირექციას
   1.4. კლასის დამრიგებელს

2. აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილმა ნებისმიერმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის რაიმე სახით შეზღუდვა

3. ,,მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს“ ამტკიცებს გიმნაზიის დირექტორი შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

4. აღნიშნულ დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ამავე მუხლის მე- 3 პუნქტის საფუძველზე